საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2016 წლის 25 მაისის

დადგენილება №2020

ცვლილებები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ
დებულებაში

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

I. შეტანილ იქნეს ცვლილება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 26 ივნისის №704 დადგენილებით დამტკიცებულ სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ დებულებაში და მე-9 მუხლის მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“9.10. როგორც წესი, დაცვამდე არანაკლებ 12 კალენდარული დღით ადრე გამოიცემა სტუ-ის რექტორის ბრძანება დაცვის დანიშვნის შესახებ; მასში მითითებული უნდა იყოს დოქტორანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, სადოქტორო პროგრამისა და დისერტაციის დასახელებები, სადისერტაციო კოლეგიის შემადგენლობა კოლეგიის თავმჯდომარის ვინაობისა და კოლეგიის წევრთა სამუშაო ადგილის მითითებით, ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელებისა და რეცენზენტების ვინაობა და სამუშაო ადგილი, დისერტაციის დაცვის თარიღი, დრო და ადგილი; ბრძანებაში მითითებული უნდა იყოს აგრეთვე ინფორმაცია კრედიტებისა და ფინანსური ვალდებულებების შესრულების შესახებ. აღნიშნული აქტის საფუძველზე სადისერტაციო საბჭო ავრცელებს ინფორმაციას წერილობითი შეტყობინების ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით, აგრეთვე უზრუნველყოფს განცხადების გამოკვრას თვალსაჩინო ადგილზე (ადგილებზე) და ფაკულტეტის ვებგვერდზე განთავსებას. ამასთან, აუცილებელია ბრძანების პროექტთან ერთად წარმოდგენილ იქნეს დისერტაციის ავტორეფერატი”.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე